

# დამტკიცებულია

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ

ძალაშია 2016 წლის 06 მაისიდან და მოქმედებს 2019 წლის 11 მაისამდე

## განაკვეთები (ტარიფები)

ფიზიკურ პირთა მიერ ნაწარმოებების პირადი სარგებლობის მიზნით რეპროდუცირებისათვის გამოსაყენებელი მატერიალური მატარებლებისა და მოწყობილობების წარმოებისა და იმპორტისთვის

კატეგორია	დასახელება	განაკვეთი
I	მატერიალური მატარებელი	ღირებულების 2%
	ჩაუწერელი დისკი (CD-R/-RW Audio, CD-R/-RW Data, DVD+R/+RW, DVD-R/-RW, DVD-RAM; DVD DL, Blu-Ray დისკი) USB ფლეშ მეხსიერება ჩაუწერელი მინიდისკი აუდიო კასეტა ვიდეო კასეტა ფლოპი დისკი	
I	მოწყობილობა	ღირებულების 1%
	MP3 დამკვრელი MP4 დამკვრელი გარე მყარი დისკი CD ჩამწერი (writer and recorder) DVD ჩამწერი (writer and recorder) Blu-ray ჩამწერი ტელედეკოდერი/ADSL ყუთი ციფრული ჩამწერი IPTV და VOD-სთვის სატელიტური მიმღები Sat-Receiver Set-Top-Box გარე მყარი დისკით	
II	მატერიალური მატარებელი	ღირებულების 2%
	მეხსიერების ბარათი (ფიჭური ტელეფონის, ფოტო აპარატის და სხვა SD, მიკრო SD, SDHS)	
II	მოწყობილობა	ღირებულების 1%
	აუდიო მაგნიტოფონი ჩაწერის საშუალებით ვიდეო მაგნიტოფონი ჩაწერის საშუალებით სახლის კინოთეატრი მუსიკალური ცენტრი	
III	მოწყობილობა	ღირებულების 1%
	ციფრული ფოტო და ვიდეო კამერა ფიჭური ტელეფონი პლანშეტი პორტატული კომპიუტერი პერსონალური კომპიუტერი ტელევიზორი მყარი დისკით	

- ღირებულება ამ განაკვეთების მიზნებისათვის განიმარტება როგორც მატერიალური მატარებლისა და/ან მოწყობილობის იმპორტის დროს დეკლარირებული ღირებულება დღგ-ს ჩათვლით, ხოლო წარმოების შემთხვევაში დამზადების ბიუჯეტი დღგ-ის ჩათვლით

- ჰონორარი არ გადაიხდება იმ მატერიალურ მატარებლებსა და მოწყობილობებზე, რომლებიც ჰონორარის გადახდის მომენტისათვის წარმოადგენს ექსპორტის საგანს, ასევე პროფესიული გამოყენების მიზნით წარმოებულ და/ან იმპორტირებულ მატერიალურ მატარებლებსა და მოწყობილობებზე
- ექსპორტის საგანი ამ განაკვეთების მიზნებისთვის გულისხმობს მატერიალური მატარებლებისა და/ან მოწყობილობების წინასწარი შეკვეთის საფუძველზე ექსპორტის მიზნით დამზადებას
- პროფესიული გამოყენება ამ განაკვეთების მიზნებისათვის გულისხმობს მათ ისეთ არაფიზიკურ მესამე პირზე გასხვისებას, რომელიც იყენებს ასეთ მატერიალურ მატარებლებსა და/ან მოწყობილობებს სამსახურებრივი მიზნით და არ ახორციელებს მათ რეალიზაციას
- განაკვეთები პირველი კატეგორიის მატერიალური მატარებლებისა და მოწყობილობებისათვის ძალაში შედის 2015 წლის 01 აგვისტოდან
- განაკვეთები მეორე კატეგორიის მატერიალური მატარებლებისა და მოწყობილობებისათვის ძალაში შედის 2016 წლის 01 აგვისტოდან
- განაკვეთები მესამე კატეგორიის მოწყობილობებისათვის ძალაში შედის 2017 წლის 01 აგვისტოდან
- განაკვეთები შეიცავს დღგ-ს.

გიგა კობალაძე  
 გამგეობის თავმჯდომარე